# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 10 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თუღლასის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 101 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 101

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნერვების.

| | |
|---|---|
| ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . . | 1—2 |
| ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—11 |
| ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . | 11—2 |
| დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . . | 12—2 |
| ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | 12½2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| ღ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . | 4½—5½ |
| ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის **აბანო.**

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

## მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის

**ძმ. ჟორჟოლაძეების**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

ექიმის იკ. პოკერის

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდი,

✕ ბ. ლოლუას ლოტბარობით გამართავს ✕

## კ ო ნ ც ე რ ტ ს

შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ყვირილაში, ჭიათურაში, სურამში, ბორჯომში, წაღვერში, გორში და თბილისში.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ხაღვთო სჯულის მასწავლებელთა

## საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჭოლავასა.

**ს ტ უ დ ე ნ ტ ი.**

## ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები ძლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.

**ქ. ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

## პასუხი ბ. ვ. კაკაბაძეს.

გავახსენებ მკითხველს მოკლედ ჩემი წერილის შინაარსს ქართული გიმნაზიის გადაკეთების შესახებ.

სალი პედაგოგიკა მოითხოვს, მოსწავლე იმასა სწავლობდეს, რაც უყვარს, ეხალისება. წინაალმდეგ შემთხვევაში სწავლა- ტანჯვაა.

მოსწავლეს თუ, მაგალითად, ლათინური ეზიზღება, რა სასარგებლო იქნება ან მისთვის ან ქვეყნისთვის მისი კლასიკური განათლება?! ცხადია, ნაძალადევი სწავლა უნაყოფო იქნება.

მეორე მხრით ვისაც ლათინური სძაგს, შეიძლება უყვარდეს რეალური საგნები, მაგალითად, აგრონომია ან ტეხნიკა. და, მოსწავლეს თუ საგანი უყვარს, მაშინ ხომ მისი ნიჭიც შესაფერად იზდება და იფურჩქნება.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართოო“, სთქვა პოეტმა. და შკოლა მოვალეა, არ აზეპირებიოს მოსწავლეს ის, რაც მას არ იზიდავს, არ იტაცებს.

რა დასაფიცავია: კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა უმრავლესობას კლასიკური საგნები სძულს და ეზიზღება. ძალადატანებით უგულოდ და სიმწრით სწავლობენ და შემდეგ გიმნაზიაში გატარებული დრო— თავისი ცხოვრების ყველაზე უფრო უბედურ დროდ მიაჩნიათ!

რად გვინდა მათი ტანჯვა, მათი ნაძალადევი სწავლა და დიპლომები? ვისთვის რა სასარგებლოა?

დიაღ! ბევრია, ფილოლოგიურ-ისტორიული ფაკულტეტი რომ დაუსრულებია, მაგრამ ცოტაა მათ შორის მეცნიერი. მიიწეპებენ გულზე უმაღლესი სწავლის ნიშნებს—ეს წარმოადგენს ამ სწავლის ერთად-ერთ ნაშთს—და შეიქნებიან ხოლმე უბრალო მოხელეებად!

კიდევ ვიკითხავ: რისთვის ან ვისთვის არის საჭირო ამდენი მსხვერპლი?

ბ-ნ ვ. კაკაბაძეს სურს, ქართული გიმნაზიის ტიპი უცვლელად დარჩეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ, რომელიც კი ამ გიმნაზიაში ერთხელვე თავს შერგავს, აქვს თუ არა კლასიკური საგნების შესწავლის ხალისი და უნარი, თავს ძალა უნდა დაატანოს, უნდა გასწიოს თავისთვის შეუფერებელი ჭაპანი და დაასრულოს კურსი გაჭირვებით!

ჩვენი ფიქრით კი, დროა, ბოლო მოეღოს ამ არა-ნორმალურ მდგომარეობას და, მაშასადამე, სასწავლებლის ტიპი სალი პედაგოგიური მოთხოვნილების თანახმად უნდა შეიცვალოს.

პირველი ოთხი კლასის კურსი საერთო უნდა იყოს, რადგან სწავლის პირველი საფეხური უნდა შეიცავდეს ელემენტარულ ცოდნას, სავალდებულოს ყველასთვის.

შემდეგ კი აუცილებელია დიფერენციაცია, ე, ი. დაყოფა მოსწავლეთა. ვისაც არათუ არ ეხალისება, არამედ, პირიქით, სძაგს კლასიკური საგნები, ის სამეურნეო განყოფილებაში უნდა გადავიდეს. ვფიქრობ, მოსწავლეთა დიდი უმეტესობა ასეთი იქნება.

ვისაც კი კლასიკური სწავლის შეძენა სურს, თუ კი მასწავლებელნიც ადასტურებენ, რომ მას ამისთვის საკმაო ნიჭი და ხალისი მოეპოვება, ის კლასიკურ განყოფილებაში უნდა დარჩეს. და მაშინ არც ერთი ნიჭი არ დაიღუპება.

მოგეხსენებათ, როგორ უშლიან ხელს სუსტი მოსწავლეები კარგებს. ამიტომ, როდესაც კლასიკურ განყოფილებაში მარტო კარგები იქნებიან, მათი წარმატება ერთი ასად მოიმატებს.

აი რა გადამხდა თავს თვით მე. მეექვსე კლასამდის ბერძნულსა და ლათინურს მშვენიერად ვსწავლობდი. მეექვსე კლასში ლათინურის მასწავლებელი (რაკუშანი) წამეკიდა და ნახევარმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ აღარ გაუყვანივარ. ვუჩივლე, არაფერს მკითხავს, ალბად ცუდად ჩამნიშნავს და დამტოვებსთქო, და მოვითხოვე ჩემი გამოცდა. და გამოცდის დროს მასწავლებელმა ვერაფერი საშუალებით ვერ მოახერხა ჩემი ჩაჭრა. ის იყო და ის. მას შემდეგ, ვიდრე რვა კლასი არ დავასრულე, ჩემთვის აღარაფერი უკითხავსთ: ეგონათ, მაინც ეცოდინებაო, და მარტო სუსტ მოსწავლეებთან ჰქონდათ გაწამაწია. გასათავებელი ეგზამენის დროს კი ლათინურში კინაღამ ჩავიჭერი. და, ვინ იცის, მეშვიდესა და მერვე კლასებში, რომ კარგი ამხანაგები მყოლოდა და მასწავლებლებს ჩემთვის ყური ეგდოთ, იქნება, შემდეგ ფილოლოგია სპეციალურად შემესწავლა.

დიაღ! დიფერენციაცია, დაყოფა მოსწავლეთა მეხუთე კლასიდან—სალს პედაგოგიურ მოთხოვნილებას შეეფერება და იმავე დროს დიდს პრაკტიკულ ნაყოფს მოიტანს.

დეე, ვისაც მეცნიერება უყვარს, იქნეს მეცნიერად, ნუ გადაველობებით და ნუ დავაბრკოლებთ.

ვისაც პრაკტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნის შეძენა სურს, იმას კი ნუ ავკიდებთ უსარგებლო ტვირთს, განვათავისუფლოთ ლათინურისა და ბერძნულისაგან!

რაც შეეხება საზოგადო განათლებასა და განვითარებას, სამეურნეო განყოფილებაში ამგვარი სწავლა როდი შეწყდება: საზოგადო ლიტერატურასა და ისტორიას, მათემატიკას, გეოგრაფიას, ეკონომიურ მეცნიერებასა და სხ. იქაც ექნება ადგილი.

მაშ გავიმეორებ: ქართული გიმნაზიის ტიპი უთუოდ უნდა შეიცვალოს. სწავლა უნდა იყოს მეხუთე კლასამდის საერთო, მეხუთედან კი სწავლის დიფერენციაცია უნდა მოხდეს, ე. ი. მოსწავლეთა ერთი ნაწილი კლასიკურ განყოფილებაში უნდა დარჩეს, მეორე ნაწილი კი—სამეურნეოში უნდა გადავიდეს.

ამას მოითხოვს, როგორც პედაგოგიკა, აგრეთვე ცხოვრება.

**ვასილ წერეთელი.**

# რა არის საჭირო?

**ბ-ნ ვ. წერეთლის წერილის გამო.**

„იმერეთის“ 75-ე ნუმერში ბ-ნ ვ. წერეთლის საყურადღებო წერილი იყო მოთავსებული „ქართული გიმნაზიის გადაკეთების აუცილებლობა“-ზე. სრულიად ვიზიარებ ავტორის აზრს „ადამიანის სულისა და ტანის ჰარმონიული, შეთანხმებული განვითარების“, „გონებრივი და ფიზიკური ვარჯიშობის შესახებ“; სრულიად ვეთანხმები, რომ „ჩვენ ბევრი გვყავს გამომძიებელი, მოსამართლე, ვექილი და სხვ., ხოლო ცოტა მეურნე, ტეხნიკი და ხელოსანი“, რომ „უბრალო პედაგოგიური მოთხოვნილების უარყოფაა, ყველა მოსწავლის, ნიჭიერისა და ნაკლებათ ნიჭიერის, იმის, რომელსაც ლიტერატურისა და ენების სწავლა ეხალისება, და იმის, ვისთვისაც ამ საგნების სწავლა მხოლოდ ტანჯვაა, ერთ კალაპოტში ჩაყენება“, რომ აუცილებლად საჭიროა „სწავლის დიფერენციაცია“ და სხვ.

მხოლოდ არ შემიძლია გავიზიარო ბ-ნ ვ. წერეთლის აზრი ქართულ გიმნაზიასთან სამეურნეო განყოფილების დარსების აუცილებლობის შესახებ და დავეთანხმო იმ მოსაზრებას, რომ „ვისაც განსაკუთრებული თეორეტიული ნიჭი შეემჩნევა, მან კლასიკურ განყოფილებაში უნდა განაგრძოს სწავლა, დანარჩენები კი სამეურნეო განყოფილებაში უნდა გადვიდენ“...

საზოგადოთ, სამეურნეო ცოდნის საჭიროების უარის ჰყოფა, მით უფრო ჩვენი ქვეყნისთვის, არცერთ ჰკუათამყოფელ ადამიანს ფიქრად არ მოუვა. ხოლო, ჩემის აზრით, საჭიროა საკითხი სხვანაირად დაისვას...

ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ხალხი განათლებულ ერებს ჩამორჩა კულტურულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად, ერთის სიტყვით, რა მხრითაც გინდათ.

მიზეზი ამისა სწავლა-განათლების მხრით დაქვეითებაში მარხია.

საზოგადოების უმეცრება, შეუგნებლობა, სიბრიყვე, სიმახინჯე იქცევა წყაროდ მისი სიღატაკისა, უძლურებისა, დაკნინებისა, დაცემისა...

იქ, სადაც სიბნელის მჰიდრო ნიადაგი აქვს მოპოებულ, სადაც ყოვლისშემძლე ცოდნის მზე ბრწყინვალე სხივებს არ აფრქვევს,—ჩნდება ყოველგვარი ბაცილები საზოგადოებრივი უბედურებისა, სიგლახისა, ფუქსავატობისა...

სირცხვილია, რომ ჩვენში, ასეთ ბუნებრივად მდიდარსა და ყოველმხრივ უხვად დაჯილდოებულ ქვეყანაში, ხალხს შიმშილით კუჭი ეწვოდეს!..

ადვილი წარმოსადგენია, თუ რას დაემზგავსებოდა ჩვენი სამშობლო, როგორ განვითარდებოდა აქ მწერლობა და მეურნეობა, რა მდგომარეობაში იქნებოდა ხალხი გონებრივად და მატერიალურად, რომ ის ბელგიელების, ფინლანდიელების, ან ამერიკელების ხელში ყოფილიყო!..

ჩვენი ქვეყნის ათასგვარი მადნეულობა, დაუსრულებელი მდიდარი ტყეები, სამკურნალო თუ სასმელი წყლები, სამოთხისებური გრილი და სუფთა ჰაერით დაჯილდოებული საავარაკო ადგილები დაუმუშავებელი, მოუწყობელი და ხალხისთვის უსარგებლო საუნჯეთ გადაქცეულა. კიდევ მეტი: ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენივე სიღატაკისა და ეკონომიური მონობის წყაროთ გამხდარა...

მაგრამ, რაღა დავმალოთ!

**ჩვენ ბადალი არა გვყავს ლხენა-ქეიფში, კინკლაობაში, ჩივილში, ერთმანეთის დამცირებაში გაუტანლობაში, უმზგავსო ლანძღვა გინებაში,** ხოლო... **გვაკლია ცოდნა, ფხა, საქმიანობა, ცხოველი ენერგია, სოლიდარული შრომა, მხურვალე მოქმედება, მხნეობა, თვითდაცვისა და თვითმოქმედების უნარი, ცხოვრების ალღოს აღება...**

ჩვენ ბევრი გვყავს ვექილი, მოსამართლე) გამომძიებელი, ხოლო გვაკლია, ინჟინრები, აგრონომები, ტეხნიკები, ჰიდროტეხნიკები, ქიმიკოსები...

ჩვენში ბევრია სამიკიტნო, მეარღნემეზურნე, ხოლო ცოტაა—სკოლა, სამკითხველო, თეატრი, სახალხო უნივერსიტეტი... ბევრი გვაქვს მასწავლებელი, გოეხი, მუშა, ხოლო არა გვყავს კოოპერატიული დაწესებულებანი, პროფესიონალური კავშირები...

ბევრი გვყავს „მოპარუსკე“ ქალი, ხოლო ცოტა შეგნებული დედა...

ბევრი გვყავს მყვირალა დემოკრატი, ხოლო ცოტა ხალხისთვის თავდადებული ერთგული მუშაკი, ნამდვილი გულშემატკივარი...

ბევრია ჩვენს სამშობლოში ბუნების თვალწარმტაცი სურათი, ხშირად გიტკბობთ სმენას ფრინველთა საამო სტვენა—გალობა, მდინარეთა მომხიბვლელი, ნაზი შხუილ-ჩურჩული, *) მაგრამ მაინც ცოტა გვყავს მხატვრი, არტისტი, მომღერალი, მუსიკოსი, მოქანდაკე...

რა არის საჭირო, რომ თავი დავაწიოთ სიღატაკეს ყოველივე სფეროში, ადამიანური ცხოვრება დავიწყოთ, მოწინავე ხალხთა სიაში ჩავეწეროთ?!. უპირველესად ყოვლისა—სწავლა-განათლება, შეგნება, ცოდნა...

მაგრამ ჩვენი ხალხი სწავლა-განათლებას ისე უყურებს (მართალია, ამ ბოლო დროს შეხედულება ცოტათი შეიცვალა!), როგორც მოხელე—ბიუროკრატის აღმზრდელს და ჩინ-ტემლაკების მიმნიჭებელს. მშობლები ყურადღებას აქცევენ ფორმას, დროს, რომელიც საჭიროა სწავლის დასასრულებლად, სიძნელე—სიადვილეს, სწავლის მიღების დროს მუშაობის ხასიათს და სხვ. ისინი წინაალმდეგნი არიან, რომ მათი შვილები ხელოვნების ქურუმნი გამოვიდენ, რადგან არტისტობა, მხატვრობა სამასხრო საქმეთ მიაჩნიათ.

ისინი სამეურნეო ან ტეხნიკურ სასწავლებელში შვილების მიბარების წინაალმდეგი არიან, რადგან ბარ-ჩაქუჩთან საქმის დაჭერა და საზოგადოთ „შავი მუშაობა“ ზედმეტათა და სათაკილოთაც კი მიაჩნიათ... არც მშობლები შვილებს, არც მოსწავლე ახალგაზდანი თავისთავს არ ეკითხებიან, თუ რაში იჩენენ ნიჭს, უნარს, რა უფრო უყვართ, ეადვილებათ, საითკენ არის მიმართული მათი სულისკვეთება, მისწრაფება, აღფრთოვანება...

ყოველივე ეს მიუტოვებელ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, და ასეთი ტენდენცია არავითარ კარგს არ გვიქადის...

ადამიანს შეუძლია სასურველი ნაყოფი გამოიღოს, თავისი ნიჭი საკმარისად გაავითაროს, გააღრმავოს, ხოლო იმ დარგში, რომლის სიყვარულის ცეცხლი აქვს მოდებული, რადგან სიყვარულთან ჩაწნულია განუსაზღვრელი ენერგია, ხალისი და შემოქმედებაც კი...

რაც არ უნდა ეცადოთ, რაც არ უნდა ისურვოთ, ვაშლი კიტრს ვერაოდეს ვერ გამოისხამს, და ღვთიური ნიჭით შემოსილი არტისტი ან მხატვარი ვერაოდეს რიგიანი კომერსანტი ვერ იქნება...

ფართო გზა მივსცეთ ნიჭს, მიდრეკილებას, სულიერ მისწრაფებას; ყურადღება მივაქციოთ გულისთქმას, ზრახვებს; ნუ დაგვაინტერესებს ჯამაგირი და სოციალური მდგომარეობა, ნუ შეგვაშინებს სიძნელე და „შავი მუშაობა, ნუ მიგვიზიდავს სიადვილე და ბრჭყვიალა ფოლაქები... დაგვაინტერესოს მხოლოდ ნიჭის განვითარებამ და საზოგადოების სასარგებლო წევრად გახდომამ.

თუ თანასწორ პირობებთან გვაქვს საქმე და ადამიანის წინ დგას საკითხი, თუ რა გზა აირჩიოს, მაშინ აუცილებლად საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმას, თუ რა ცოდნით აღჭურვილნი შვილები უფრო ესაჭიროება მშობელ ერს.

საზოგადოთ კი ერის კეთილდღეობისათვის, წარმატებისათვის და წინსვლისათვის საჭიროა ყოველივე დარგის განვითარება: ცალმხრივობა ყოვლად შეუწყნარებელია.

საჭიროა როგორც ინჟინრები, ისე კომერსანტები; როგორც აგრონომები, ისე მასწავლებლები; როგორც ხუროთმოძღვრები, ისე მხატვრები; როგორც ლინგვისტები, ისე არტისტები; როგორც არქეოლოგები, ისე კომპოზიტორები; როგორც მწერლები, ისე ტეხნიკები; როგორც გეოლოგები, ისე ექიმები; როგორც ბუნებისმეტყველნი, ისე ქიმიკოსები...

რასაკვირველია, არ არის საჭირო, რათა საზოგადოებაში ყველა ზემოდასახელებულთა თანასწორი რიცხვი მოიპოებოდეს, ხოლო ის კი აშკარაა, რომ ყველანი საზოგადოების საჭირო ელემენტებს შეადგენენ.

ამნაირათ საჭიროა დავაარსოთ სამეურნეო, ტეხნიკური, სახელოსნო, კომერციული, პედაგოგიური, თეატრალური, სამხატვრო, მუსიკალური, სამთომადნო და სხვ. სასწავლებლები.

სასურველია თითოეული მათგანი დაარსდეს იმდენი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. ხოლო უნდა შევეცადოთ, რომ სწავლა წარმოებდეს სადი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით; აგრეთვე უნდა შევიმუშაოთ ისეთი სამოსწავლო პლანები და პროგრამები, რომ საშუალო სასწავლებლებმაც (აქიდან, რასაკვირველია, უმაღლესში შესვლა უნდა შეიძლებოდეს) პრაკტიკულათ საკმარისათ მომზადებულნი ელემენტები, ენერგიული და საქმით დაინტერესებულნი მუშაკნი შეგვძინონ...

ამასთანავე ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ქართულ ენას სათანადო ყურადღება ექნას მიქცეული, ვინაიდან, სხვა მოსაზრებათა გარდა, როგორ შეუძლია, მაგ., სამეურნეო ინსტრუკტორს ხალხს სარგებლობა მოუტანოს, თუ ქართული ენა არ ეცოდინა, თუ ქართული სამეურნეო ტე-მინოლოგია არ ექნა შესწავლილ-შემუშავებული?!.

რაც შეეხება მთავრობის არსებულს კლასიკურ სასწავლებლებს, ისინი ასეთებათ უნდა დარჩენ, ხოლო მათი პროგრამის შეცვლის საჭიროება ახლა ბევრისთვის დღესავით ნათელია... ქართულ გიმნაზიებისთვის და საერთოდ ჩვენ მიერ დაარსებულ სკოლებისთვის კი ისეთი პროგრამა უნდა შემუშავდეს, რომელიც არ ეწინააღმდეგება პედაგოგიურ მოთხოვნილებებს და საზოგადოებრივ წარმატების საქმეს სამსახურს უწევს...

ხოლო სკოლების დაარსება, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ცალ-ცალკე მოხდეს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო ადვილი იქნება საქმის რიგიანად წაყვანა.

კერძოთ, ქართულ გიმნაზიასთან სამეურნეო განყოფილების დაარსება სასურველად არ მიმაჩნია, რადგან კლასიკური და სამეურნეო განყოფილებანი (მხოლოდ!) სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებულ ყმაწვილებს ვერ დაიტევს,—ეს ერთი; მეორე—სპეციალური (სასოფლოსამეურნეო, ტეხნიკური და სხვ.) სკოლების დაარსება მეტად რთულსა და სერიოზულ საკითხს შეადგენს; [illegible] ლობს დიდ ხარჯებს და დიდის სიფრთხილით მოპყრობას [illegible] განყოფილების მიმატება საქმეს [illegible] გაართულებს; და მესამე—თუ ახლაც გაისმის საყვედურები, რომ გიმნაზიის საქმე სასურველათ ვერ არის დაყენებული, როდესაც სხვა განყოფილებები მოემატება, სასწავლებლის რიგიანად მოწყობა და საქმის კარგად გაძღოლა მით უფრო საძნელო იქნება...

შევეცადოთ საჭირო სკოლების დაარსებას, ხოლო საზოგადოებამ გონივრულად უნდა მოჰკიდოს საქმეს ხელი და ყალბი შეხედულებანი უკუაგდოს...

დიდი შეცდომაა, რომ ხონელებმა წელს ოლქის მზრუნველის წინადადება—ტეხნიკური სასწავლებლის დაარსების შესახებ, უარყვეს. დიდი დანაშაულობა იქნება ქუთაისლების (და არა მარტო ქუთაისლების!) მხრითაც, თუ ვერ დააარსეს კომერციული, სამეურნეო და ტეხნიკური სასწავლებელი, რომელთა შესახებაც საკითხია აღძრული...

და თუ სამოსწავლო მთავრობა დიდ ენერგიას ვერ იჩენს სასწავლებელთა გახსნის საქმეში და არსებული სკოლებიც არ გვაკმაყოფილებს, საჭიროა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და თვით საზოგადოებამაც ამ საქმეში მეტი ინიციატივა, მეტი ენერგია, მეტი უნარი გამოიჩინონ და მეტის თანაგრძნობით მოეპყრან მოსწავლე ახალგაზდათა სათუთ ბუნებას და ნიჭს, რათა ხელი შევუშალოთ „პოლიტიკანთა“ ანტიპედაგოგიურ მოღვაწეობას და ახალგაზრდა თაობის გონებრივსა და სულიერ გადამახინჯებას...

დამღუპველი უმოქმედობა და განუწყვეტლივი დუმილი ასეთს დიდმნიშვნელოვან საქმეში მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს...

**გ. კაკაბაძე.**

P. S. შეძლება მეძლევა (ამ წერილში გაკვრით ამის შესახებაც მაქვს ლაპარაკი) ახლადკურსდასრულებულ ამხანაგ სტუდენტებს ვურჩიო, რომ დიდის სიფრთხილით მოეპყრან ფაკულტეტის არჩევის საკითხს, რათა გვიან არ იქნეს „მერმედა თითზე კბენანი“!..

**გ. კ.**

# ქუთაისი.

**ახალი ამბავი.**

✦ ამას წინათ ს. ნავარძეთში, ჭიათურის რაიონის ბოქაულის ბ. გაბუნიასი და მღვდლის გ. ბარათაშვილის წინადადებით, საზოგადოების ყრილობამ ერთხმათ დაადგინა გაიხსნას ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა. შესაფერი განაჩენი დაადგინეს და გაუგზავნეს სახალხო სკოლების ინსპექტორს დასამტკიცებლათ.

✦ კვირას, 13 ივლისს, ქ. გორში საკრებულო დარბაზში ახალგაზდა მგო-

# კათოლიკე ქართველთა მონასტერი.

**ნაწილი II**

**მ. ხარისჭირაშვილის მოგზაურობანი და სტამბოლში დაბინავება.**

(იხ. გაზ. „ერი“ № 24, 25, 27.)

ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, ვინც იცნობს აჭარას, თუ რა ძნელი და საშიშია ამ მთიან მხარეს მოგზაურობა და განსაკუთრებით ზამთრობით. მამა პეტრე ხარისჭირაშვილს ეშინოდა დაგვიანებით თავისი განზრახული საქმე არ შეფერხებულიყო, ამიტომ, მიუხედავათ სრული უსახსრობისა, მაინც სამშობლო მხარეს გამოესალმა და 30 იანვარს 1857 წ. დაუყონებლივ ოსმალეთისკენ ფეხით გაემგზავრა. ფრიად საყურადღებოა ეს თავგანწირული მოგზაურობა, მაგრამ ჯერჯერობით ყველა მასალა ხელთ არა გვაქვს, რათა იგი დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს, საკმარისია აქ შევნიშნოთ, რომ ამგვარი მოგზაურობა თავგანწირვაა და მარტო მას შეუძლია, ვისაც ნება მტკიცე აქვს და გული ღვთის თუ მამულის სიყვარულით აღტყინებული. დღეს ამ მგზავრობისა მხოლოდ შემდეგი ცნობები გვაქვს, მ. პეტრეს დღიურიდანვე გამოკრეფილი.

როცა სოფელ ბადელაში მივიდა, ასისთავმა (იუზ-ბაში) და ორმა ჩაფარმა დაატუსაღეს იგი და კონაკში მიიყვანეს, ასისთავი ფრიად ცუდი პიროვნება იყო. იარაღით აშინებდა, რათა საწყალ მგზავრს ეგრძნო თავისი სისუსტე, უპატრონობა და მტარვალის თვითნებობა და სიძლიერე. დატყვევებულმა მთელი ღამე შიში გაატარა: ხვალინდელი დღე რა ბედს არგუნებდა მას?.. გათენდა და მოულოდნელათ გაანთავისუფლეს. მაგრამ ამით არსებობის უშიშობა არ განუმტკიცდა. მტარვალი მოხელე მას არწივივით დასტრიალებდა. ხელის გაქონვა საჭიროდ დაინახა მ. პეტრემ. რადგან ტაროსი ძლიერ ცუდი იყო და მოცდა დასჭირდებოდა, ერთს ახალ გაცნობილ მეგობართან გამართა სადილი, მიიწვია ასისთავიც, რომელსაც ახალციხიდან მოტანილი ერთი წყვილი წინდა*) უთავაზა, რამაც ფრიად დააკმაყოფილა მოხელე. ბადელაში ორი კვირა გაჩერდა. კარგი ტაროსი დადგა თუ არა, მ. პეტრე ახალგაზდა ხითარიშვილთან ერთად ართვინისკენ გაემგზავრა, ასისთავისგან დარწმუნებული, გზაში არავითარი საფრთხე არ მოგელისო. ამ დროის მდ. ჭოროხი ადიდებული იყო; ნავით გასვლა დასჭირდათ. მალე იპოვეს ერთი, რომელშიაც საქონელც ბევრი ელაგა და უკვე ოციოდე კაციც იჯდა. ახსნეს თოკი ნავს. ნავი ნელნელა მიდიოდა. შუა მდინარეში მიაწია თუ არა, მდინარემ ზემოდან დაატაკა ხის ნამორი, საბედნიეროთ ნავი გადარჩა. ცუდი ტაროსის გამო, მ. პეტრე ართვინშიც ცოტა ხანს დარჩა. გამოდარებისას გაუდგა გზას და დიდის ტანჯვავაებით ბათომში ჩამოვიდა და იქიდან კონსტანტინოპოლში 24 მარტს 1857 წელს.

კონსტანტინეპოლში მოსვლისავე სომეხთუნიატორთ პატრიარხი ჰახუნიანი ინახულა. ჰახუნიანმა მეტად ზრდილობიანათ მიიღო მ. პეტრე. მხიარულობაც უჩვენა. დაწვრილებით გამოჰკითხა ახალციხის სასულიერო მართველობის, ღვდლების თუ ერის ვითარება. მ. პეტრემ მოკლეთ აუწყა ყველა და მასთან სთხოვა შემწეობა და დახმარება თავისი აზრის განხორციელებაში. არა მარტო ერთხელ, არამედ რამდენჯერმე მისულს, აზრის მიმართულება დიდათ მოუწონა, აქო მისი თავგანწირულობა ამ დიდებულ და კეთილ საქმისთვის. ამრიგათ შორსმჭვრეტელმა სომეხ მღვდელმთავარმა, რა გაიგო საქართველოს კათოლიკე ქართველთა მდგომარეობა და ღრმად ჩაუკვირდა მ. პეტრეს მოსაზრებულ გეგმის მნიშვნელობას, გაოცებაში ჩავარდა, შიშის ეჭვიც დაებადა. მან კარგათ იცოდა, თუ კათოლიკე ქართველთათვის რა დიდი სიკეთე კეთდებოდა. ეს უკანასკნელნი, თვით რომისგანაც დავიწყებულნი, ახალი საზოგადოების წყალობით, შეიგნებდენ თავის უკუღმართ მდგომარეობას, თანდათანობით მიიპყრობდენ მაღალსასულიერო მთავრობის ყურადღებას. დღეს თუ ხვალ იგინი მოითხოვდენ სომხებისაგან ჩამოშორებას, და დიდი ხნის გეგმა სომხურ პროპაგანდისა გაქარწყლდებოდა.

ყველა ადამიანი თავისთვის სცდილობს: ორი ძმა, ორი ერთგული მეგობარი თითქმის მარადის საეჭვოა, მეტად იშვიათია მიკერკონ თავის უსარგებლოთ რომელიმე მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც სურდა მამა პეტრეს. ამისთვის დღეს გაკვირვებაში ვართ, რა მოსახსენებელი საქმე იყო ეს დიადი განზრახვა და მერე სომეხთ მეთაურ პატრიარხ ჰახუნიანისთვის? ყველა თავისებურათ სჯის. მამა პეტრეს ეგონა, სხვაც ჩემსავით გულმართალი და კეთილი არისო. შაჰყულიანთან, არარატიანთან და და ზარაფიანთან დაახლოებამ და შემდეგ ცივმა დაშორებამ იგი მალე ვერ დაარწმუნა ზემოხსენებულ ჰეშმარიტებაში; იმდენათ წრფელი და გულკეთილი იყო. ჰახუნიანთან ამასაც ისწავლის.

ეჭვსგარეშეა, პატრიარქი და მერე სომეხი თავის ერისვნულ გაძლიერებასა და გაბატონებას ჩვენს ტერიტორიაზე არასდროს არ ეწინააღმდეგებოდა. რამდენათაც ქართველი კაცთმოყვარეა, უხვი, გულუბყვილო, უცხო დაჩაგრულთ მხარის დამჭერი, იმდენათ საზოგადოთ სომეხი წმინდა ნაციონალისტი, ხელმოჭერილი, გამოქნილი ოსტატია და დამჩაგვრელიც, თუ მისი ინტერესი მოითხოვს. ჰახუნიანიც წმინდა სომეხი იყო. როდესაც მ. პეტრეს განზრახულ გეგმის ასრულებაზე მიდგა საუბარი. სომეხ უნიატრთა თავი ტკბილისა და მჭერმეტყველური ენით აგონებდა ხარისჭირაშვილს თავისი აზრი დაევიწყა, მისი სამსახური მიეღო და მისგან ექნებოდა არა მარტო საპატიო ადგილი და შემწეობა, არამედ დიდი პატივისცემა, თვით ეპისკოპოზობაც. ამას მოწმობენ მონასტრის პირველ ყოფილნი მღვდელნი როგორც ივანე გვარამაძე, ალფონს ხითარაშვილი და სხვანი, რომელნიც დღესაც ცოცხალი არიან. როდესაც ამ გამოქნილმა ლაპარაკმა მ. პეტრეზე ცუდი შთაბეჭდილება იქონია და მისი მტკიცე ნება ვერ შესძრა, მაშინ ჰახუნიანმა საწყალ მგზავრს ცივი უარი განუცხადა ყოველივე დახმარებაზე და ერთი ცავი „გნახოთი“ გაისტუმრა.

ამ უმწეო მდგომარეობაში, მ. პეტრე პაპის სამოციქულო წარმომადგენელს, მის უსამღვდელოესობას უფალს ანტონ მუსოლინის მიეკედლა. 7 მაისს 1857 წ., ლათინის ეპისკოპოზმა მოუწერა ხელი წირვის თქმის მოწმობაზე (celebreto) და მ. პეტრე, ხელახლათ, სამგზავროთ უფრო შორეულ ქვეყანას წავიდა: მოსალოცავათ იერუსალიმის წმიდა ადგილებისა. ეს მგზავრობა მხოლოდ თავისი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ არ იყო მას უნდოდა ადგილი შეერჩია თავისი აზრის განსახორციელებლათ.

კონსტანტინეპოლიდან ალექსანდრიას მივიდა 27 მაისს და იქიდან იერუსალიმს 6 თიბათვეს. 38 დღე გაჩერდა წმიდა ადგილთა სანახავათ და მოსალოცავათ, იქ, სადაც ქრისტემ თავისი ოფლი და სისხლი დაღვარა. შემდეგ გამობრუნდა, ამოვიდა ბეირუთში, სადაც ორი დღე დაჰყო ლიბანის ღვდლებთან. ბეირუთიდან, იმავ წელს მკათათვის 14-ს, ქ. სმირნას ამოვიდა, სადაც არ დახვდა ლათინთ ეპისკოპოზი. ამის მოადგილემ სამოციქულოთ მოვლინებულმა (Missionnaire), მამა სიქსტო დი ჯენუამ, დიდი პატივისცემით მიიღო, წირვის ქაღალდი შეუმოწმა სამგზავროთ. სმირნაშიც დარჩა ხუთი დღე ლაზარისტებთან, *) და პირველი გემით ევროპაში გაემგზავრა. ჯერეთ კუნძულ სირაზე გაიარა, შემდეგ კორფუ-

*) ასეთი ბუნებრივი პირობანი, ეჭვს გარეშეა, ხელს უწყობენ მხატვრული და მუსიკალური ნიჭის ჩანერგვას და განვითარებას. **გ. კ.**

*) ოსმალეთში ნაქები იყო ახალციხის წინდები.

*) ლაზარისტები (lasaristes) საზოგადოება, რომელიც დააფუძნა 1625 წ. წ. ვინკენტი პავლესამ პარიზის ერთ სახლში აგრეწოდებული წ. ლაზარე (lasare).

სანი ტაიფუნი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ,,ეროვნული ბრძოლა და ჩვენი დემოკრატია‘‘—რის შემდეგაც გაიმართება კამათი. ამავე ლექციას წაიკითხავს ბორჯომში, აბასთუმანში, სურამში, ყვირილაში, ლანჩხუთში და სხვაგან.

✦ დ. ლანჩხუთში ვაჭარმა ვარდენ სვანიშვილმა ილარიონ მახარაძის 14 წლის მოსწავლე ქალი სასეირნოთ გაიტყუა, მოიტაცა და ძალით ჯვარი დააწერინა მღვდელს. მესამე დღეს ხალხმა სვანიშვილი ს. ხიდისთავში მიაგნეს, ჩამოართვეს მტირალი ქალი და დედმამასთან გაგზავნეს. სვანიშვილი მიიმალა.

✦ შაბათს, 5 ივლისს, დ. სამტრედიაში, ჭილაძის სამიკიტნოში, ძილის დროს აზ. ასლ. ნიჟარაძეს ვიღაცამ ჯიბიდან 328 და 24 კაპ. ფულად და 47 მ. და 5 შ. ვექსილი ამოაცალა. ადგილობრივმა ბოქაულმა ბ. მაჭავარიანმა დაიჭირა ფულის ამომცლელი კოსტა დეისაძე ს. გეზათში, რომელსაც მოპარული ფული და ვექსილი აღმოაჩნდა.

✦ ამასწინათ სამტრედიიდან ახალ ამბებში მოხსენებული გვქონდა, რომ ქურდბაცაცები აქ ძლიერ გამრავლდენთქო. ეს ცნობა მართალი არ არის. როგორც ჩვენი მოახალამბე გვატყობინებს, ადგილობრივი ადმინისტრაციის ენერგიული ზომების მიღებით, ქურდბაცაცობა მთელს სამტრედიის რაიონში შესამჩნევათ შემცირებულა.

✦ დღეს ქალაქის თეატრში ლექციას წაიკითხავს კ. ცაგარელი ი. გედევანიშვილის „სინათლის“ შესახებ.

✦ 8 ივლისს მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია კირილე მოროზოვის საქმე. მას ბრალდებოდა ქალაქ ფოთში თავისი ცოლის მოკვლა. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და 3 თვის ციხე მიუსაჯა.

✦ მსახიობ ალექსი-მესხიშვილს უკვე გადაუწყვეტია მომავალ სეზონში ქუთაისის დრამატიულ დასში დარჩეს.

✦ პეტერბურგიდან ცეცხლის დამზღვევ საზოგადოებების კავშირის გამგეობამ აცნობა ქუთაისის ცეცხ. დამზ. საზოგადოებას, რომ ჩვენ სასტიპენდო ორი ადგილი გვაქვს ცეცხლის დამქრობ კურსებზე მსმენელებისთვის და ასეთი მსურველები თუ გყავთ გამოგვიგზავნეო.

✦ დრამატიულ საზოგ. გამგეობას მოლაპარაკება ჰქონდა მხატვარ ტოფანოვთან, რომ დაექირავებიათ დეკორაციების დასახატავათ, მაგრამ ხსენებული მხატვარი ჭიათ. შავიქვის საბჭოს ყოლია დაქირავებული და დრ. საზ. არ დაანება. ახლა დრ. საზ. გამგეობას მოლაპარაკება აქვს დეკორაციების სპეციალისტ მხატვარ ნ. კულეშოვთან.

✦ როგორც ს. ბაღდათიდან გვატყობინებენ რკანის ჯვარში, „ზეკარას“ ზევით მთებში უნახავთ კაცის გამოხატულება ლითონის-გან. ეს ლითონის კაცი ს. ბაღდაში ჩამოუტანიათ. კარგს იზამს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება ამ განძს ყურადღებას მიაქცევდეს.

✦ ბაზრის სანიტარებმა ჩაჩანიძემ და შავგულიძემ გეგუთის ქუჩაზე ოქმი შეუდგინეს მეხორცეებს: გიორგი ლეჟავასა და ი. ყიფიანს, სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ გუშინ დილით თფილისს გაემგზავრა ქუთაისის ქალაქის თავი სხვადასხვა საქმის მოსაწესრიგებლათ.

✦ ჩვენი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი ამ ჟამათ სრულიად კარგათ იმყოფება. იგი ჯერ საავათმყოფოდან არ გამოწერილა.

✦ 7 ივლისს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის შენობაში შესდგა ქუთაისის გუბერნიის კომერციული ცოდნის გამავრცელებელი კომიტეტის მორიგი სხდომა. კომიტეტმა დაადგინა: გაგზავნოს პეტერბურგს ერთი კომერციულ ცოდნასთან დაახლოებული პირი, იმის შესახებ, რომ ხელი შეუწყოს ქუთაისის მომავალ კომერციული სასწავლებლის წესდების დამტკიცების დაჩქარებას. აგრეთვე გაეცნობა ადგილობრივ კომერციული სასწავლებლების მდგომარეობას, თუ როგორ არის ხსენებულ სასწავლებლებში სწავლება დაყენებული.

✦ 8 ივლისს ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზ. „ერის“ ყოფილი რედაქტორის (ამ ჟამათ გ. „შრომის“ რედაქტორია) გ. ბრეგაძის ორი საქმე. ბრეგაძე ისჯებოდა 1034 მუხლის ძალით. სასამართლომ მას 3 კვირით დატუსაღება მიუსაჯა.

✦ ჭიათურის სამთო-ტეხნიკო სასწავლებლის კურსდასრულებულნი, რიცხვით 14 კაცი საექსკურსიოთ მიემგზავრებიან სამხრეთ რუსეთში, მათ თან მიყვება ხელმძღვანელათ ინჟინრები. მარშრუტი ფრიად საგულისხმოთ არის შედგენილი სამთო ინჟინერის აპოლონ კობახიძის მიერ. ექსკურსანტები რუსეთში 1 თვეს დარჩებიან და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებიან

# თფილისი

ახალი ეგზარხოსის დეპეშა. კავკავის ქართველმა საზოგადოებამ ახლად დანიშნულ პიტირიმს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა და მისგან შემდეგი პასუხი მიიღო:

„ღრმა სიხარულს განვიცდი კავკავის ქართველთა გულითად სალამის გამო. ღმერთია მოწამე, როგორ მწადია წრფელის გულით ვემსახურო ღვთისმშობლის ხვედრს თქვენს სამშობლოს. სრულებით ვემყარები მოციქულთა თანაბარ წმ. ნინოს ლოცვა-კურთხევას, კავკავის ქართველ საზოგადოებას „მრავალ-ჟამიერს“ ვუგალობ.

საქართველოს ეგზარხოსი ქორ. ეპისკოპოზი პიტირიმი“.

კოტე მესხის გარდაცვალების გამო „სახ. ფურცელი“ რედაქციამ მოსკოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ახლახან დავბრუნდი საზღვარგარეთიდან და ვნახე დეპეშა კოტე მესხის გარდაცვალების შესახებ. სიტყვები ვერ მიპოვნია მწუხარების გამოსათქმელათ. დაუვიწყარი კოტეს მოგონება ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთებთანაა დაკავშირებული. ვიმეორებ, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ იმის გამოსათქმელათ, რასაც ვგრძნობ.

ალექსანდრე „სუმბათაშვილი“.

ხარჯთაღრიცხვანი. კავკასიის სამოქალაქო უწყების საბეითლო განყოფილებამ 1915 წ. ხარჯთაღრიცხვა უკვე შეადგინა. ამ ხარჯთაღრიცხვით საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლასა, ამიერკავკასიის ბეითლების შენახვასა და ზურნაბადის სადგურზე 1915 წელს დაიხარჯება 1,047,040 მან. 63 კ. მეფის მოადგილის საბჭომ ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა.

უკვე შედგენილ და დამტკიცებულ იქნა მეფის მოადგილის საბჭოს მიერ რუსთა გადმოსახლების სამართველოს 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომლითაც სამართველოს შემოსავალი ექნება 3,825 მან., ხოლო ხარჯი—2,075,722 მან.

კოოპერატორთა კრების გადადება. კავკასიის კოოპერატიულ დაწესებულებათა წარმომადგენელთა კრება დანიშნული იყო თფილისში მომავალ დეკემბრისთვის. ახლა განზრახვა აქვთ ეს კრება მომავალ წლის გაზაფხულისთვის გადასდვან, რადგან მომავალი დეკემბრის 7-ს თფილისში მოხდება კავკასიის სამელიორაციო კრება, ხოლო ორსავე კრების ერთსა და იმავე დროს მოწვევა უხერხულათ სცნეს.

# ს ო ხ უ მ ი.

ქართულმა პრესამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ქუთაისში გამართულ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსებს და ეს არც საკვირველია, ვინაიდან ამ „კურსებიდან“ გამოაშკარავდა, თუ რა დუხჭირ პირობებში უხდება მუშაობა სოფლის მასწავლებელს. დახატულ სურათს აკლია მხოლოდ ერთი შტრიხი, რომელიც მთლიანობას უკარგავს მას. საქმე იმაშია, რომ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებს გამოთიშეს ზუგდიდის მაზრის მასწავლებლები და გამოგზავნეს სოხუმში აქაურ ეპარქიის მასწავლებელთათვის გამართულ კურსებზე. თუ რათ მიმართა საშკოლო მთავრობამ ამ ზომას—ამას კომენტარიები არ სჭირია. ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სწავლება ზუგდიდის მაზრის სკოლებში ჩამორჩენილია, ხოლო სოხუმის ეპარქიის სკოლებიდან კი თითქმის მთლად განდევნილი და ამ ერთგვარ, მათი აზრით, ელემენტებს მოუყარეს თავი სოხუმში. კურსები გაიხსნა 8 ივნისს და გაგრძელდება 13 ივლისამდი. გულახდილათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სინამდვილემ გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს. დავიწყოთ იქიდან, რომ ლეკტორებათ არიან სამოქალაქო სკოლის მასწავლებლები და ამნაირათ ზუგდიდიდან ხმელეთით და ზღვით ორასი ვერსიდან დაიბარეს მასწავლებლები, რომ საშუალება მიეცათ მათთვის მოესმინათ სამოქალაქო სკოლის მასწავლებელთა „ლექციები“, მაშინ, როდესაც მათ ზუგდიდშივე შეეძლოთ მიეღოთ ესრეთი „კმაყოფილება“ იქაურ სამოქალაქო სკოლის მასწავლებელთაგან. სანიმუშო გაკვეთილებს მასწავლებლები აძლევენ რუს მოწაფეებს, რომელთაც, გარდა თავისი ენისა, არაფერი ესმისთ. ამისთანა პირობებში ქართული ენის ხმარებაზე ლაპარაკიც მეტია. ნათქვამიდან ცხადათ გაიგებს მკითხველი, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა ზუგდიდის მაზრის მასწავლებლებს. განსხვავება მათსა და ქუთაისში შეკრებილ მასწავლებელთა შორის მდგომარეობს იმაში, რომ იქ თავმოყრილია ერთგვარი მასა, გაერთიანებული ერთგვარი ინტერესით (თუ მათშიც ურევია ორიოდე იუდა, ეს სახეში მისაღები არ არის) და ზუგდიდელი მასწავლებლები კი გათქვეფილი არიან აქაური ეპარქიის ჭრელ ეროვნებათა შორის, არიან აქ რუსები, ბერძნები, აფხაზები და მეგრელებიც. ამ ჭრელ ადგილობრივ მასას აერთებს მხოლოდ ერთი ჯაჭვი—ლაქიობა უფროსის წინაშე და აი, სწორედ აქ იწყება მთელი დრამატიზმი ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა, ურთიერთობა უკანასკნელთა და კურსების ხელმძღვანელთა შორის უკიდურესობამდი გამწვავებულია. ორი და ორი ოთხი არისო რომ სთქვას ზუგდიდის მაზრის მასწავლებელმა, ამაზედაც არ სთანხმდებიან ხელმძღვანელნი და ამ ნიადაგზე თითქმის ყოველდღე უხდებათ შეტაკება ერთმანეთთან. გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოები არსად არ არის ხმარებაში ეპარქიის სკოლებში, ქართული ენის სწავლებას კი თუმცა მაინცდამაინც არ უშლიან მეგრელებით დასახლებულ სოფლებში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მასწავლებელთა 95 პროცენტს ქართული ენა არც ესმის და არც ხალისი აქვს, რომ შეისწავლოს.

ეს საქმიანი მხარე კურსებისა, ხოლო ნივთიერი მხარე კიდევ უარეს მდგომარეობაშია. მასწავლებელთ ზუგდიდიდან წამოსვლისას დაპირდენ, რომ გზის ფულს გარდა მიიღებდენ ხარჯად სამ თუმანს, ნამდვილათ კი ღებულობენ საერთო [illegible], და როგორც მარხვაში, ისე ხსნილში მაკარონ-ბრინჯით კვებ[illegible]რი საზრდო ვერ [illegible] მასწავლებელთ, ისინი იძულებულნი [illegible]ანთი ხარჯით ისადილონ რესტორანებში. და თუ მივიღებთ მხედველობაში აქაური სიძვირე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მასწავლებელს დასჭირდება თავისი ჯიბიდან 30–40 მანეთის დამატება. აი როგორ ეპყრობიან მასწავლებლებს მათი ,,მამები‘‘.

დამსწრე.

# რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ებრაელების ახალი შევიწროება

სახალხო განათლების სამინისტრომ საშუალო სასწავლებლებში ებრაელების მიღების შესახებ ახალი წესი შეიმუშავა. ახალი ცირკულიარი ამ საკითხის შესახებ წინანდელ ცირკულიარს უარყოფს. საშუალო სასწავლებლებში ებრაელების მიღება,—ამბობს პირველი ცირკულიარი,—პროცენტული ნორმის მიხედვითა და კენჭის ამოღებით ხდება ყველა მათშორის, ვინც მისაღებ ეგზამენს დაიჭერს.

ახალი ცირკულიარის ძალით კი კენჭის ყრა მოხდება ეგზამენებამდი. კენჭით აინიშნება და დაიშვება მარტო იმდენი პირი, რამდენიც ვაკანსიაა ებრაელთათვის. და თუ აღმოჩნდა, რომ ებრაელებმა საკონკურსო ეგზამენი კარგათ ვერ დაიჭირეს, მაშინ მათი ვაკანსია თავისუფალი რჩება, ანდა ამ ადგილზე ქრისტიანებს მიიღებენ.

პეტერბურგში პუანკარეს ჩამოსვლა.

პეტერბურგს 7 ივლისს საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე ჩავიდა.

განკარგულება.

პეტერბურგში ქალაქის უფროსმა განკარგულება გამოაქვეყნა, რომლითაც მცხოვრებლებს ახსენებს, აკრძალულია დემონსტრაციებში მონაწილეობა და აგრეთვე წინადადებას იძლევა, რომ პოლიციის მოთხოვნილებას დაუყონებლივ დაემორჩილონ. ურჩსოების მოსასპობად უკიდურესი ზომები იქნება მიღებული.

დღეს გაფიცვების მოძრაობამ ახალი ძლიერებით იფეთქა. დილიდანვე გაიფიცნენ დიდი ქარხნებისა და სამრეწველოების მუშები. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გაიფიცნენ აგრეთვე მეფურნეები. სულ გაიფიცა 75 ათასი კაცი. შეეცადნენ აგრეთვე დემონსტრანტების მოხდენას, მაგრამ პოლიციელებმა დემონსტრაციები გაფანტეს. სამსონიევის პროსპექტზე მუშებმა პოლიციელებს ქვები დაუშინეს.

ხუნხუზების თარეში.

ვლადივოსტოკში ხუნხუზებმა დაანგრიეს საბაჟო-თლო კარანტინი სადგურ გოროდეევოსთან. ექიმი და ოთხი მოსამსახურე ტყვედ წაიყვანეს.

გაფიცვა.

რეველში ნავსადგურის მუშები გაიფიცნენ. მოითხოვეს ხელფასის მომატება. გემების დატვირთვა შეჩერებულია.

---

ზე, რომელიც ალბანეთის დასავლეთში სძევს და იქიდან ტრიესტსავიდა. ავსტრიის ამ ნავსადგურ ქალაქშიც ფეხი ვერ მოიკიდა და მალე წავიდა ვენეციას, სადაც ჩავიდა მკათათვის 28-ს 1857 წ. როგორც ვსთქვით, მ. პეტრე დროს გასატარებლათ არ მგზავრობდა: ეძებდა შესაფერ ადგილს და საშუალებას თავისი დასახული მიზნის განსახორციელებლად. ვენეცია მოეწონა. მალეც დარწმუნდა, რომ ეს ქალაქიც სამშობლო ქვეყნიდან ფრიად დაშორებულია, მაგრამ მაინც დაჰყო აქ 21 თვე და ეს დრო ცუდათ არ გაატარა.

პეტერბურგიდან ქართულ ასოების დედნები (მატრიცები) მოატანია. იტალიელ მუშებს ქართული კითხვა შეასწავლა და დაიწყო სასულიერო წიგნების ბეჭდვა. სხვათა შორის, იქ დაიბეჭდა მოთხრობა ძველი და ახალი აღთქმისა, წმიდათა ცხოვრება, საქრისტიანო მოძღვრება, ლექსი-ხოტბა ქალწულ მარიამ უმანკოთ ჩასახებულისა და სხვაც. ფიქრობდა ამ წიგნების გაყიდვით ფულს შეიძენდა, რათა თავისი განზრახული აზრი განეხორციელებია. მაგრამ იმედი არ აუსრულდა, წიგნები საქართველოში ვერ შეიტანა. თავათ ღარიბი, ახლა სულ უმწეოთ დარჩა, რადგან თავისი სამკვიდრებელიც დახარჯა წიგნების გამოცემაში. მეხიტარისტებმა *), რომელთაც ბინა მ ეცათ, არა მარტო სტამბის ფასი, არამედ თვით ოთახის ფასიც მოსთხოვეს, მ. პეტრეე ძლივსძლივობით გადიხადა **) 1859 წ. აპრილის დამლევს, მამა პეტრე, ახალ ქართულათ დაბეჭდილი წიგნებით და ქართული ასოებით აღმოსავლეთისკენ გამობრუნდა და ხელახლათ მოვიდა კოსტანტინეპოლს.

ორ-სამ დღეს შემდეგ ცოტა რომ შეისვენა, გაბედა და ხელახლათ ჰასუნიანთან მივიდა. ვისაც დიადი საქმის დაწყება უნდა ჰა უმწეოდ არის, მას ვერც ერთი წინააღმდეგი მოვლენა ვერ შეაფერხებს. მ. ხარისჭირაშვილი ჩუმი და მომთმინე კაცი იყო. მას ახსოვდა პატრიარქის ცივი სიტყვა: „ვნახოთო“. თუმც იცოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე, მაინც არ დაერიდა, მივიდა და ერთხელ კიდევ შეეცადა.

ჰასუნიანი ერთობ გამოცვლილი და პირბადე ახდილი დაუხვდა. მ. პეტრეს ისე აგრძნობინა, ვითომც არც კი ენახოს და მის მიერ მოხსენებულ საქმეზე ერთობ შორს დაიჭირა. ამდენსაც არ მოელოდა ეს უბედური მგზავრი, თვით გულწრფელი ძალზე გაკვირდა. საგონებელს მიეცა; მაგრამ ვერაფერი ვერ აეხსნა ჰასუნიანის ამ მზგავსი საქციელით; ამისგან უარესს უკანასკნელს ერისკაცზეც ვერ წარმოიდგენდა. ასეთი უდიერობის მიზეზი, ამბობს ივანე გვარამაძე, რომელმაც დამწყობთან დაჰყო რამდენიმე ხანი კოსტანტინეპოლში, ის იყო, რომ მეთაურობა თვითონ ჰასუნიანს სურდაო; მაგრამ მამა პეტრე ფიქრობდა, ამნაირი მისი ბატონობა ჩვენს საქართველოს არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა.

ამ ნაირათ მ. პეტრემ ერთხელ და სამუდამოთ გამოსცადა სომეხთ თვით უმაღლეს ღვდელ-მთავრის—პატრიარქის გულკეთილობა, თანაგრძნობა კეთილ საქმეში და რომ ვერ ნახა მასშიაც ის კაცთმოყვარეობა და ქრისტეს სული, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებაში უპირველეს ჭეშმარიტებათაგანია, ნელნელა უკან დაიხია, თუმც მიმოსვლა ჰასუნიანთან არ შეუწყვეტია. ფიქრობდა, და გულის საკურთხეველში ზრდიდა თავის ზეაზრის, სულისკვეთების განხორციელებას სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოთ.

ჰასუნიანი განათლებული და გამჭრიახი ედამიანი იყო. ხედავდა, რომ მამა პეტრე მის აზრს მიუხვდა, ამისთვის მტრულათ დაუწყო მოპყრობა. ამაზე უფრო ვრცლათ ვილაპარაკებთ, როდესაც ცალკე ქართულ წესის აღდგენაზე გვექნება საუბარი, რომელ შემთხვევაში პროპაგანდიდამ ჰასუნიანსაც შეეკითხენ. ჰასუნიანის წერილი, როგორც საქართველოში მყოფი კაფუჩინის წერილები, რომლის პირიც ხელთგვაქვს ფრიად საყურადღებო არის. მამა პეტრე დარწმუნდა. თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ისედაც იცოდა სომეხ კათოლიკეთა სული და მისწრაფება, რომელიც ისე ცხადათ გამოაშკარავდა თვით ჰასუნიანის პატრიარქობის დროსვე და დღესაც თერძიანის დროს, როდესაც ვიცით, თუ რომ რამდენათ სწყალობს კათოლიკე სომხებს, მათ სასულიერო სხეულს და დაწესებულებებს.

ღრმად მორწმუნე და მტკიცე ხასიათის ადამიანი რაკი იყო, მამა პეტრემ იმედი არ გადაიწყვიტა; მალე მოსძებნა ახალი საშუალება. დაუახლოვდა სხვადასხვა კათოლიკე ლათინ მოვლენილ მღვდლებს, რომელთაც რჩევას სთხოვდა. ამათ თანაუგრძნეს და პატივით მოეპყრენ. მალე გაეცნო თვით პაპის პიო IX წარმომადგენელს მთავარ ეპისკოპოზს, უფალს ბრუნონის, რომელსაც დაწვრილებით გაუზიარა თავისი გულის ტკივილი. ამ ეპისკოპოზმა, რომლის სახელიც მარადის კეთილ სახსენებლათ დარჩება მონასტერში, რიგის გარეთი და წრფელი კაცთმოყვარეობა უჩვენა; მოუწონა აზრი, გაამხნევა საწყალი მწირი და მალეც მკვიდრი სამსახური მისცა მოწყალების დათა მონასტერში (Jes Feeurs de bharité a bhichli), სადაც ჩვენი თავლავიწყებული ადამიანი ამ დღის შემდეგ ბინა და საზრდოს პოულობდა არა მარტო თავისთვის, არამედ თავის პირველ მოწაფეთათვისაც: ცნობილი სიმონ (ალფონს) ხითარიშვილი, ნებიერიძე, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგიძე ახალციხლები.

მის უსამღვდელესო ეპისკოპოზი ბრუნონი არ დასჯერდა სამსახური მიეცა მამა პეტრესთვის, მალე აცნობა რომს საქმის გარემოება და მაისის 7 1859 წ. ნება კიდევაც მოუვიდა საზოგადოების შედგენისათვის. მამა პეტრეს რომ ესარგებლა ამ ნებართვით, საჭირო იყო კერძო ბინა, ხალხი და წესი. თუმცა ცხოვრების მხრივ ჯერჯერობით უზრუნველ ყოფილიიყო, მაინც არ ჰქონდა შეძლება საკუთარი ბინის შესაძენათ. დღიურად გამოდიოდა. რა გინდ ცუდ პირობებში ყოფილიყო, ეს ენერგიით სავსე და გამჭრიახი ადამიანი მარადის საქმეს შესცქეროდა. იმედი ქონდა, ღმერთი არ გასწირავდა. მოსძებნა ადგილი, რომელიც ერთმა ქველმოქმედმა პირმა შესთავაზა. მეტიც არ უნდოდა ჯერჯერობით: 300 ფრანკის (150 მანეთი) შეძლება ჰქონდა. დაუყონებლივ ამ მიწაზე პატარა სადგური და სამლოცველოს შენება დაიწყო. რა საკვირველია, ამ თანხით საძირკველსაც ვ[illegible]რ ჩაჰყრიდა თუ რომ ქველმოქმედთ თანაგრძნობა არ ამოეჩინათ. მრავალთ ყურადღება მიიპყრო ამ კაცის ცხოვრებამ, ყველამ მისი დიადი აზრი თავისი გახადა. ამისთვის ეწეოდენ, რამდენათაც შეეძლოთ. მ. პეტრე ეკონომისტიც იყო რიგის გარეთი. თვითანვე ადგა მუშებს, მათთან მუშაობდა, აგულიანებდა, რათა დრო არ დაკარგულიყო და ხარჯიც ბევრი არ წასვლოდა. შენობა დღითიდღე მატულობდა. ერთი წლის განმავლობაში კიდევაც დამთავრდა. ახლა შეეძლო ამ ადამიანს მოსვენებით შესდგომოდა თავის მომავალ საზოგადოების წესწყობილების შემუშავებას და მიმდევართა შეკრებას. პირველ მოწაფეებს დაემატნენ ეგნატე (ივანე) ეხსანიშვილი, იოსებ მამუკაშვილი, მიხელ ხითარიშვილი და ბეთანოვი.

ღდვ. შალვა გარდაძე.

(შემდეგი იქნება).

*) მეხითარმა დააარსა სომეხ კათოლიკეთა მონასტერი. მეხითარი ქ. სებასტში დაიბადა 1676 და გადაიცვალა 1749 წ ამ საზოგადოებას ყველამ დიდძალი დახმარება აღმოუჩინა, თვით ქართველებმაც. ამ მონასტრის სტამბიდან გამოვიდა სომეხ მწერალთა საუკეთესო ნაწერნი. ეს საზოგადოება ორად გაიყო: ერთი შტო ვენეციაშივე დარჩა, მეორე კი ვენაშია.

**) ალფონს ხითარაშვილი, რომელიც თან დასდევდა, მოგვითხრობდა მეხითარისტებმა არა მარტო სტამბის ხარჯი და ოთახის საფასური მოგვთხოვეს, თვით ზედმეტიც ისურვესო. ამ რიგათ მ. პეტრეს ცხოვრების სახსარი მთლათ შემოკლებოდა და დავალიანებული გამობრუნდა სტამბოლს, საიდანაც ნელნელა ეს ვალიც გადიხადა.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
მიღებულია და იყიდება
პორფთელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ
симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

**ხიდის დაწვა.**

სიმბირსკში ვოლგაზე ახლად გაშენებული ხიდის ხის ნაწილები დაიწვა. ზარალი დიდია.

**საეჭვო პირის შეპყრობა.**

ეკატერინოდარში გემზე ორი საეჭვო პირის შეპყრობის დროს მოჰკლეს ბოქაული ვისკის პოლიციისა და ორი მისი თანეშემწე. მძიმედ დაჰრეს მეისრე. ბოროტმოქმედი მოჰკლეს.

# უცხოეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ულსტერის საკითხის განხილვა.**

ლონდონში მეფის თავჯდომარეობით ბუკინგემის სასახლეში დანიშნულია თათფირი, რომელზეც ულსტერის საკითხს განიხილვენ. მთავრობის წარმომადგენლებათ თათფირს ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი დაესწრებიან, ოპოზიციის წარმომადგენლებად კი—ბონარ-ლოუ ლენდსდოუნი, ულსტერისა—კარსონი და კრეგი, ირლანდიის ნაციონალისტები--რედმონდი და ლილონი.

საპარლამენტო წრეებში ამბობენ, რომ ასკვიტსა და ბონარ-ლოუს შორის შეთანხმება მოხდა ულსტერის საკითხის გადამწყვეტ ფორმულის შესახებ. ბუკინგემის სასახლის კონფერენციას მიზნათ აქვს ამ ფორმულის შესახებ რედმონდისა და კარსონის თანხმობა მიიღოს... ყველა პარტია დაიმედებულია, რომ შეთანხმება მოხდება, თუმცა ზოგიერთნი უკიდურეს რადიკალთაგანი უკმაყოფილონი არიან ამ საქმეში მეფის ჩარევით. დუბლანიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ბუკინგემის კონფერენცია თანაგრძნობას იწვევს ორივე კონფლიკტით მოღლილ პარტიაში.

ხალხით სავსე დარბაზში ასკვიტმა განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს მეფისაგან განაცხადოს, რომ მისმა უდიდებულესობამ, მდგომარეობის სირთულის გამო, საჭიროთ სცნო ბრიტანიისა და ირლანდიის ორთავე პარტიის წარმომადგენლების მოწვევა ბუკინგემის თათფირზე, ირლანდიის ავტონომიის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტათ. ასკვიტმა განაცხადა, რომ მიწვევა მიიღო ოპოზიციის ორმა წარმომადგენელმა, ორმა ულსტერელმა, ორმა ნაციონალისტმა და მთავრობის პარტიის ორმა წარმომადგენელმა. ამ თათფირზე მეფის წინადადებით თავჯდომარეობას სპიკერი იკისრებს. ასკვიტი იმედოვნებს, რომ თათფირი ხვალ დაიწყება.

ქვედა პალატის შენობაში მუშათა პარტიის წევრების კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პროტესტს აცხადებენ ბუკინგემის სასახლის კონფერენციის წინააღმდეგ. რეზოლუციის ასლი ასკვიტს გადაეცა თხოვნით, რომ მეფეს წარუდგინონ.

**პუანკარეს მოგზაურობა.**

პარიზის გაზეთები დიდის აღტაცებით ბჭობენ საფრანგეთის პრეზიდენტის პუანკარეს რუსეთში მოგზაურობის თაობაზე.

**ზომების მიღება.**

რომში ივლისში სარკინისგზო გაფიცვების გამო შემდეგ ზომებია მიღებული: სამსახურიდან დაითხოვეს 48 მოსამსახურე სხვადასხვა ხარისხისა, 16 მდაბიო მოსამსახურე 363 ორთქმავალის მემანქანე გადაიყვანეს უფრო დაბალ თანამდებობაზე. რკინის გზათა სამართველო მადლობას უცხადებს ყველას, ვინც მუშაობა არ შესწყვიტა და დაამტკიცა, რომ უმრავლესობა მოსამსახურეთა თავისი მოვალეობის მტკიცე შემსრულებელია. იმ მოსამსახურეთ, რომელთაც გაფიცვების დროს მომეტებული მუშაობა გადახდათ, საჩუქრები მიეცათ.

**თავდასხმა.**

ბუქარესტში ბულგარელი ჯარისკაცები თავს დაესხნენ რუმინიის საზღვრების დარაჯებს, რუმინელები მოშორდნენ 120 ნაბიჯის მანძილზე, იქიდან უპასუხეს და სამი ბულგარელი მოჰკლეს. მათი გვამები რუმინელთა სადარაჯოს მახლობლათ ნახეს.

უკანასკნელი ინციდენტის წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ გუშინ წინ ღამით ბულგარლების პატრული რუმინიის საზღვრებს გადასცდა და სროლა დაიწყო, რომელზეც რუმინელებმა პასუხი გასცეს, სამი ბულგარელი მოკლულია, ერთი დაჭრილი.

დილით რუმინიის აფიცერს ბულგარელებმა დაუშინეს თოფები.

## წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პატივცემულო ბ. რედაკტორო! გთხოვთ მცეთ პატივი და ამ ჩემს ბარათს ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში.

ჩემი მეგობრები" საზოგადოებაში და ყოველ კუთხე ჯვარადინზე ბეჯითად სცდილობენ ყველა დაარწმუნონ თითქოს ექვსი წლის სამსახურს შემდეგ ჩემი ჯიხაიშიდან წასვლის მიზეზი მხოლოდ ერთი ჯამაგირის მოუმატებლობა და სახელმწიფო სამსახურში შესვლის სურვილი იყოს. რადგან ეს სიმართლეს არ შეიცავს, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს გავაცხადო, რომ ამას გარდა და უმთავრესათ აქიდან წასვლის მიზეზი სწორეთ ის პირობებია, რომელმაც არა ერთ ექიმს აიძულა აქიდან წასვლა და ის შეხედულება, რომელიც ჩვენ არა ჯიხაიში დაბადებულებს: „ჩამოთრეულებათ, გამვლელებათ, დაქირავებულებათ" გვთვლის და ღირსათ არ გვცნობს საზ გადოების საქმეში ჩავერიოთ.

დიდი-ჯიხაიშის საზოგადოების ექიმი ევსევი გ. ლოლაძე.

ბ. რედაკტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნუმერში მოათავსოთ შემდეგი შენიშვნა ერთი შემთხვევის შესახებ, რომელსაც ქონდა ადგილი ამ დღეებში ქუთაისის რკინ. გზ. სადგურზე.

როცა მგზავრები შედიოდენ მატარებლის ვაგონებში ადგილების დასაჭერათ ერთმა ვიღაც მგზავრმა მოინდომა ძაღლით შესულიყო ვაგონში. კონდუკტორი ხელმძღვანელობდა-რა იმ წესებით, რომლის ასრულებასაც ავალებს მთავრობა, კატეგორიულათ უარი უთხრა ამ მგზავრს მეორე კლასის ვაგონ შიშესვლაზე. შემდეგ მგზავრმა მოიტანა სადგურის უფროსისგან ნებართვა, მარა კონდუკტორმა მაინც უარი უთხრა. მხოლოდ ნება დართო შესულიყო მესამე კლასის ვაგონში და ისიც იმ პირობით, თუ ძაღლს პირზე საფარი ექნებოდა გაკეთებული და თუ ამაზე სხვა მგზავრებიც დათანხმდებოდენ. დიდლაპარაკს შემდეგ კონდუკტორი დროებით ჩამოაშორეს მატარებელს იმ მიზეზით, რომ ვითომც იგი მთვრალი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ იგი თხოულობდა ექიმის შემოწმებას, არც ექიმი და არც ფერშალი არ მოუწვევიათ. საინტერესოა ვიცოდეთ, რით უნდა იხელმძღვანელონ რკინის-გზის დაბალმა მოსამსახურეებმა თავის სამსახურის ასრულების დროს—მათთვის მიცემულ იმ ინსტრუქციებით, რომელთა დარღვევასაც მოსდევს მძიმე შედეგები სადგურის უფროსებისაგან, თუ ამავე სადგურის უფროსების პირადი მოსაზრებით?

დამსწრე.

## ანგარიში

**ქუთაისის ღარიბ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობის მიერ ქალაქის ბაღში 25 მაისს გამართულ სეირნობისა.**

(გაგძელება იხ. „იმერეთი" 99-ე №.)

ეფრემიძემ 2 მ., ძმ. ახვლედიანებმა ორი რედიკული; მ. გვიჩიამ 5 მ., ს. მოწონელიძემ 8 მ. და 2 აბ., ი. ალიბეგოვმა 2 მ., ასათიანმა 3 მ. და 1 აბ., ს. ეზიკოვმა 3 მ. და 1 აბ., რუხაძემ და პანჩულიძემ 3 მ., რაფაელოვმა და ჩაკვეტაძემ 8 მ., ი. გვეტაძემ 5 მ., ყუფარაძემ 3 მ., ეკსანოვებმა 1 მ. და 10 შ., ძმ. ჰავჰანიძეებმა 10 მ. და 2 აბ., დ. ქებაძემ 1 მ. და 10 შ. ძმ. ფილიპოვებმა 4 მ., ფ. ჰელიძემ 6 მ., მირიანოვმა 1 მ., მაღლაფერიძემ 1 მ. და 10 შ., დოლიძემ 3 აბ., მამაჯანოვმა 2 მ., გრიკუროვმა 3 მ. და 10 შ. ვართანოვმა 3 მ. და 10 შ., გეგეჭკორმა 1 მ. და 1 აბ., ბაგდასაროვმა 3 მ. 1 აბ., რუსაძემ 1 მ. და 1 აბ., კირვალიძემ 10 შ., ს. გოკიელოვმა 11 შ., ნარსიამ 2 მ., ზილბერფესდმა 4 აბ. შენგელიამ 1 მ., ნადირაძემ 2 მ., ი. გოკიელოვმა 5 მ. 39 კ., „ახომ" სხვადასხვა ყვავილები; ს. კალანდარიშვილმა, ნ. ჩიქოვანმა და ნ. დავითაიამ 7 მ., ივანე ჩინიჯიშვილმა ორი ვაზა, ჩიქოვანმა ნახევარი დუჟინი საპონი; თაბაგარმა 5 მ., მელაშვილმა 2 მ., ბენიაშვილმა 10 შ., შვიტიაშვილ- 5 შ., ქორისმა 3 მ., ლ. ბოკერიამ 2 მ. და 10 შ., აშიანმა 2 მ. და 10 შ., უზინ-ოღლიმ 10 შ., მოშა რიჟინაშვილმა 1 მ. და 2 შ.

რედაკტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)
აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.
ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.
მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.
წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები


შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.


ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).
ა. თაბაგარის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი"
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის